ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4419947

ნომერი: AR1662589

თარიღი : 14.03.2019

გაცემის თარიღი : 19.03.2019

გაცნობის თარიღი : 21.03.2019

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, პეტრე ხვედელიძის ქუჩა, N 7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მალვენიშვილი პ/ნ 01024044303
- თბილისი თ.იოსებიძის ქ. N 47 ბ. 20

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 22 იანვრის№3787006 გადაწყ ვეტილებით
დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის
სამსახურს 2019წლის 14 მარტს №AR1662589 განცხადებით მომართა სს 2651 „ფენიქსი-2“-
ის გენერალურმა დირექტორმაგიორგი მალვენიშვილმა, რომელმაც მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილის ის მერიის არქიტექტურის 2018 წლის 22 იანვრის N3787006 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამახურმა შეისწავლა AR1662589 განცხადება და 12.01.2018 წლის AR1569929 განცხადება, რომლითაც შევიდა ცვლილება 16.07.2014 წლის N 1387122 ბრძანებაში დაადგინა, რომ ვინაიდან N 1387122 ბრძანებით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დადგინდა 2014 წელს, ხოლო დღეის მდგომარეობით განმცხადებელი ითხოვს ახალი ობიექტების მშენებლობას (ავტო სერვისის და სამრეწველო მაღაზიის მოწყობისთვის) სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს მოთხოვნა 22.01.2018 წლის N3787006 ბრძანებით შეთანხმებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანაზე, რისთვისაც მოთხოვნა უნდა დააყენოთ ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე.
ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე თქვენს მიერ წარმოდგენილი AR1662589 განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.